ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N12/47

2019 წლის 29 მაისი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მალთაყვის სანაპირო ზოლისა და რაგბის განვითარებასთან დაკავშირებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფების უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მალთაყვის სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რაგბის განვითარებასთან დაკავშირებით შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათებით დგინდება, რომ დროებით სამუშაო ჯგუფებს ჩასატარებელი აქვთ მნიშვნელოვანი და დიდი მოცულობის სამუშაოები, ამდენად, მიზანშეწონილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამუშაო ჯგუფების უფლებამოსილების ვადა გაგრძელდეს სამი თვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი1.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მალთაყვის სანაპირო ზოლისა და რაგბის განვითარებასთან დაკავშირებით შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფებს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდეთ სამი თვით.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გაასაჩივროს დაინტერესებულმა მხარემ ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2019 წლის 29 მაისიდან.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი,
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე აკაკი დარჯანია